ნაშთი 31 დეკემბერი 2022	18,594	2,516	21,110
დამატება	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	18,594	2,516	21,110
დამატება	-	-	-
ჩამოწერა	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	18,594	2,516	21,110
დაგროვილი ცვეთა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	(1,112)	(1,112)
ცვეთის ხარჯი	-	(64)	(64)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	(1,175)	(1,176)
ცვეთის ხარჯი	-	(60)	(60)
შემცირება ჩამოწერის შედეგად	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2024	-	(1,235)	(1,236)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2022	18,594	1,404	19,998
31 დეკემბერი 2023	18,594	1,341	19,934
31 დეკემბერი 2024	18,594	1,281	19,874

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნია მოხმარებაში არსებული სრულად გაცვეთილი საინვესტიციო აქტივები.

მენეჯმენტის შეფასებით ჯგუფის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება მის საბალანსო ღირებულებას.

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ღირებულება	შენიშვნები
31 დეკემბერი 2022	3,380
ჩამოწერა	(3,380)
დამატება	2,410
31 დეკემბერი 2023	2,410
ჩამოწერა	(2,410)
დამატება	-
31 დეკემბერი 2024	-
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2022	(1,570)
ჩამოწერა	1,570
ცვეთა წლის განმავლობაში	(467)
31 დეკემბერი 2023	(467)
ჩამოწერა	467
ცვეთა წლის განმავლობაში	-
31 დეკემბერი 2024	-
ნარჩენი ღირებულება	

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თი ელ ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

31 დეკემბერი 2022	1,810
31 დეკემბერი 2023	1,944
31 დეკემბერი 2024	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივი წარმოადგენს შპს „ქალაქის გულის“ მიერ შპს „თი ელ ჯი“-ზე იჯარით გადაცემულ ფართს. 2024 წლის განმავლობაში შპს „თი ელ ჯიმ“ მოიპოვა შპს „ქალაქის გულის“ წილების საკონტროლო პაკეტი. შესაბამისად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოხდა ჯგუფის წევრებს შორის არსებული ნაშთების და ტრანზაქციების ელიმინირება.

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

ფრაგმენტი მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან	2024	2023
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა და ამორტიზაცია	-	467
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	-	316
მოგება-ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	-	783

საიჯარო ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საიჯარო ვალდებულებები	-	2,081
სულ საიჯარო ვალდებულებები	-	2,081

	2024	2023
ნაშთი 1 იანვარი	2,081	2,413
საპროცენტო ხარჯი ფინანსურ იჯარაზე	-	316
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯის გადახდა	-	(316)
ფინანსური იჯარის ძირის გადახდა	-	(330)
წმინდა ზრდა/(ჩამოწერა)	(2,081)	(3)
ნაშთი 31 დეკემბერი	-	2,081

საიჯარო ვალდებულებების ვადიანობა

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ერთ თვემდე	-	31
ერთიდან სამ თვემდე	-	94
სამიდან თორმეტ თვემდე	-	251
სულ ერთ წელიწადში გადასახდელი ნაწილი	-	376
ერთიდან ხუთ წლამდე	-	1,705
სულ საიჯარო ვალდებულებები	-	2,081

11. მონაწილეობა ასოცირებულ კომპანიებში

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მონაწილეობა ასოცირებულ კომპანიებში მოიცავს:

დასახელება	საქმიანობა	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
		საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი	საბალანსო ღირებულება	ფლობილი წილი
შპს ოქროს კიდობანი	ქონების გაქირავება	8,601	33%	8,426	33%
ნიუ გრუპ მაღლივი	მშენებლობა	2,549	28%	4,012	28%
შპს ოკრიბა	სოფლის მეურნეობა	1,736	41%	-	0%
შპს კიდობანი	ქონების გაქირავება	274	17%	274	17%
შპს ქალაქის გული 1	ქონების გაქირავება	(217)	28%	-	0%
შპს ბახტრიონი 98	მშენებლობა	(6)	13.8%	-	0%

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თი ელ ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

შპს ჯი თი	მშენებლობა	(43)	13.8%	-	0%
დეველოპმენტი					
შპს ქალაქის გული	ქონების გაქირავება	-	85%	3,787	35%
სულ ინვესტიცია		12,894		16,498	

მოძრაობა ასოცირებული კომპანიის ინვესტიციაში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემდეგნაირია:

	2024	2023
ინვესტიციის ღირებულება 1 იანვარი	16,498	15,553
ასოცირებული კომპანიის მოგების წილი	(1,753)	836
ინვესტიციის დამატება	-	109
ინვესტიციის შემცირება	(1,851)	-
ინვესტიციის ღირებულება 31 დეკემბერი	12,894	16,498

12. მარაგები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგები მოიცავს:

მარაგები	2024	2023
დაუმთავრებელი მშენებლობა	6,145	9,541
გასაყიდი ფართები	252	552
ნედლეული და მასალები	173	394
სხვა მარაგები	24	24
ჯამი	6,594	10,511

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	69	346
სხვა მოთხოვნები	57	97
ჯამი	126	443

14. მომწოდებელზე გადახდილი და სხვა ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი და სხვა ავანსები მოიცავს:

მომწოდებელზე გადახდილი და სხვა ავანსები	2024	2023
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	514	2,187
თანამშრომლებზე წინასწარ გადახდილი ანაზღაურება	-	-
ჯამი	514	2,187

ჯგუფის მიერ გადახდილი ავანსები ძირითადად უკავშირდება სამშენებლო მასალების შესყიდვას, სუბკონტრაქტორების მომსახურებას და პროექტთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. მენეჯმენტი რეგულარულად ამოწმებს გამოუყენებელ ავანსებს, რათა უზრუნველყოს მათი ანაზღაურება ან მიმდინარე პროექტებისთვის სათანადოდ გამოყენება. ანგარიშგების პერიოდში ავანსების ანაზღაურებასთან დაკავშირებით არსებითი საკითხები არ გამოვლინილა.

15. გაცემული სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხები მოიცავს:

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

თი ელ ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

სესხის გამცემი	სესხის მიმღები	2024	2023
შპს თი ელ ჯი	შპს შატო ბაგრატიონი	268	-
შპს ნიუ გრუპ დეველოპმენტი	შპს ქალაქის გული 1	92	-
შპს სპექტრი	შპს ქართული პროდუქტები	35	28
შპს სპექტრი	შპს ჯთ დეველოპმენტი	30	-
შპს სპექტრი	შპს შატო ბაგრატიონი	22	-
შპს სპექტრი	შპს სამეფო მშენებლობა	-	171
სულ გაცემული სესხები		447	199
მისაღები პროცენტები		85	-
სულ გაცემული სესხები		532	199

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრი მდგომარეობით ბალანსზე არსებული გაცემული სესხები ნომინალური ვალუტების მიხედვით:

გაცემული სესხების ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
დოლარი	339	-
ლარი	193	199
სულ	532	199

ჯგუფის მიერ გაცემული ყველა სესხი გაიცა დაკავშირებულ მხარეებზე. ეს სესხები მოკლევადიანი ხასიათისაა და გამოყენებული საპროცენტო განაკვეთები შეესაბამება მსგავსი ტრანზაქციებისთვის გამოყენებულ საბაზრო პირობებს.

გაცემული სესხები გაუფასურების ინდიკატორები არ არსებობს, შესაბამისად ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით გაუფასურების ხარჯი არ არის აღიარებული.

16. ფული და ფულის ექვივალენტები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს:

ფული და ფულის ექვივალენტები	2024	2023
ნაღდი ფული სალაროში	469	431
ფული ბანკში	52	33
ჯამი	521	464

17. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გადახდილმა საწესდებო კაპიტალმა შეადგინა 56 ათასი ლარი (2023: 65 ათასი ლარი).

დივიდენდები

ჯგუფის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა 221 ათასი და 223 ათასი ლარის დივიდენდი, შესაბამისად.

18. სესხები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიღებული სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

თი ელ ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

სესხის მიმღები	სესხის გამცემი	31.12.2024	31.12.2023
შპს თი ელ ჯი	კომერციული ბანკისგან	14,331	5,893
შპს ნიუ გრუპ	კომერციული ბანკისგან	9,602	9,556
შპს თერგი I	კომერციული ბანკისგან	3,331	4,913
შპს სპექტრი	კომერციული ბანკისგან	2,803	3,440
შპს ნიუ გრუპ ქავთარაძე	კომერციული ბანკისგან	2,445	2,550
შპს ნიუ გრუპ დეველოპმენტი	კომერციული ბანკისგან	2,118	-
შპს ნიუ გრუპ პლიუსი	კომერციული ბანკისგან	1,488	1,469
შპს თი ელ ჯი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	862	1,102
შპს ტრედიდინგ პალასი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	682	944
შპს ნიუ გრუპ	დაკავშირებული ფიზიკური პირები	620	1
შპს სპექტრი	დაკავშირებული კომპანიებისგან	506	289
შპს ტრედიდინგ პალასი	კომერციული ბანკისგან	421	405
შპს ნიუ გრუპ დეველოპმენტი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	309	-
შპს ნიუ გრუპ	დაკავშირებული კომპანიებისგან	286	169
შპს ტრედიდინგ პალასი	დაკავშირებული კომპანიებისგან	221	-
შპს ნიუ გრუპ ვაკე	დაკავშირებული ფიზიკური პირები	97	97
შპს ნიუ გრუპ ქავთარაძე	დაკავშირებული კომპანიებისგან	69	65
შპს ნიუ გრუპ პლიუსი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	52	6
შპს სპექტრი	დაკავშირებული ფიზიკური პირები	50	-
შპს თერგი I	დაკავშირებული ფიზიკური პირები	39	36
შპს ნიუ გრუპ ქავთარაძე	დაკავშირებული ფიზიკური პირები	22	-
შპს ნიუ გრუპ პლიუსი	დაკავშირებული კომპანიებისგან	9	-
შპს აევ	კომერციული ბანკისგან	-	565
სულ		40,363	31,500

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სესხების განაწილება ვადიანობის მიხედვით.

ვადიანობა	2024	2023
ერთ წლამდე	18,653	10,677
ერთ წელზე მეტი	21,710	20,823
სულ	40,363	31,500

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრი მდგომარეობით ბალანსზე არსებული მიღებული სესხები ნომინალური ვალუტების მიხედვით:

მიღებული სესხების ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
დოლარი	36,526	19,954
ევრო	3,424	11,364
ლარი	413	182
სულ	40,363	31,500

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთები დოლარში მერყეობს 8-დან 11 პროცენტამდე, ევროში 6-დან 7 პროცენტამდე, ხოლო ლარში 11-დან 12%-მდე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებების, მათ შორის, ფულადი და არაფულადი ცვლილებები

თი ელ ჯი ჯგუფი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

	31 დეკემბერი 2023	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2024
აღებული სესხები	31,500	8,479	(463)	847	40,363
	31 დეკემბერი 2022	ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	პროცენტის ცვლილება	საკურსო სხვაობის ცვლილებით მიღებული მოგება	31 დეკემბერი 2023
აღებული სესხები	30,321	427	325	428	31,500

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2024	2023
სავაჭრო ვალდებულებები	501	1,616
გადასახდელი ხელფასები	521	357
სხვა ვალდებულებები	71	423
ჯამი	1,093	2,395

20. მიღებული ავანსები

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული ავანსები მოიცავს:

მიღებული ავანსები	2024	2023
მშენებლობიდან მიღებული ავანსები	1,835	7,636
სხვა ავალსები	-	149
ჯამი	1,835	7,785

21. პირობითი ვალდებულებები

სამართლებრივი დავები

ბიზნესის მიმდინარეობის პროცესში ჯგუფი იღებს მოთხოვნებს კლიენტებისა და კონტრაგენტებისგან. ხელმძღვანელობის აზრით, რაიმე არსებითი დაუზღავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში რეზერვის ხარჯი არ გათვალისწინებულია.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებულმა მუხლებმა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და შესწორებები. გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია საგადასახადო ორგანოების განმარტებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ჯგუფზე დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვა. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ შეასრულეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადების გადახდა და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შემოწმების ჩატარება შეუძლიათ სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ბაზირებულია საქართველოში. ვინაიდან ქვეყანაში ბიზნეს-გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა სწრაფად იცვლება, პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში უარყოფითმა ცვლილებებმა შეიძლება რისკქვეშ დააყენოს ჯგუფის აქტივები და ოპერაციები.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ეს და სხვა სამართლებრივი და ფისკალური ბარიერები ამჟამად საქართველოში მოქმედ კომპანიებისათვის პოტენციური ხელშეშლელი ფაქტორებია. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური მოვლენების პარალელურად.

22. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს ჯგუფის მფლობელებს და ერთობლივ მფლობელობასა და კონტროლქვეშ არსებულ პირებს, აგრეთვე უმაღლეს ხელმძღვანელობას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთ გარიგებებში შესვლა, რომლებსაც არადაკავშირებული პირები ვერ განახორციელებენ. ხშირ შემთხვევაში, დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება სხვა შემთხვევებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეპყრობა ურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ მის სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფს გააჩნია შემდეგი ნაშთები და ტრანზაქციები:

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	ნაშთი	სულ კატეგორია	ნაშთი	სულ კატეგორია
გაცემული სესხები	532	532	199	199
-ასოცირებული კომპანია	30		-	
- სხვა დაკავშირებული პირები	502		199	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	45	126	43	642
-მფლობელები	31		31	
-ასოცირებული კომპანია	14		12	
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	144	514	164	2,187
-სხვა დაკავშირებული	30		164	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	114		479	2,395
-ასოცირებული კომპანია	505	1,093	379	
-ასოცირებული კომპანია	505		100	
სესხები			1,286	31,500
-მთავარი მენეჯმენტი	3,405	40,363	1,286	
-ასოცირებული კომპანია	2,551			
	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	ნაშთი	სულ კატეგორია	ნაშთი	სულ კატეგორია
შემოსავალი იჯარიდან	274	767	-	10,288
-ასოცირებული კომპანია	274		-	
სხვა შემოსავალი	400	595	194	708

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

-ასოცირებული კომპანია	400		194	
საკონსულტაციო ხარჯები	381	2,851	599	824
-სხვა დაკავშირებული მხარე	381		599	
საპროცენტო ხარჯი	274	767	144	2,032
-მთავარი მენეჯმენტი	274		144	

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

2024 და 2023 წლების საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება შეადგინა 3,579 და 2,523 ათასი ლარი შესაბამისად.

23. რეალური ღირებულების განსაზღვრა

ხელმძღვანელობის აზრით, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული, მათი მოკლევადიანი პირობებიდან გამომდინარე. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რეალური ღირებულების შეფასების მესამე დონის კატეგორიას მიეკუთვნება.

მესამე დონის კატეგორიებში შესული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები დგინდება საყოველთაოდ აღიარებული ფასწარმოქმნის მოდელებით, დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის საფუძველზე, ძირითადად მონაცემებად კონტრაგენტების საკრედიტო რისკის ამსახველი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით.

24. ფინანსური ინსტრუმენტები

კაპიტალის მართვა

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავდროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით.

როგორც სხვები ამავე ინდუსტრიაში, ჯგუფი კაპიტალის მონიტორინგს ახორციელებს წმინდა ვალის კაპიტალთან შეფარდებით. წმინდა ვალი გამოითვლება მთლიან სესხებს (მათ შორის "მიმდინარე და გრძელვადიანი სესხები", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში) მინუს ფული და ფულის ექვივალენტები. მთლიანი კაპიტალი გამოითვლება როგორც "კაპიტალი", როგორც ეს ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში პლუს წმინდა ვალი.

ფინანსური ინსტრუმენტები	2024	2023
სულ სესხები (შენიშვნა 17)	40,363	31,500
ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა 15)	(521)	(464)
წმინდა სესხები	39,842	31,035
სულ კაპიტალი	12,824	16,867
წმინდა სესხების თანაფარდობა კაპიტალთან	311%	184%

საბაზრო რისკი

ჯგუფის საქმიანობიდან გამომდინარე, ძირითადად ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების რისკი ეკისრება. ჯგუფი ამ რისკის სამართავად მონიტორინგს უკეთებს უცხოურ ვალუტაში საბალანსო პოზიციას. ჯგუფის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ფულადი ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო:

საბაზრო რისკი	31.12.2024	31.12.2023
---------------	------------	------------

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ფინანსური აქტივები	USD/GEL 2.6894	EUR/GEL 2.9753	USD/GEL 2.6894	EUR/GEL 2.9753
ფული და ფულის ექვივალენტები	37	6	272	2
გაცემული სესხები	339	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	653	-	1	-
სულ ფინანსური აქტივები	1,030	6	273	2
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(70)	-	(1,138)	-
სესხები	(36,526)	(3,424)	(19,954)	(11,364)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(36,596)	(3,424)	(21,092)	(11,364)
სულ წმინდა პოზიცია	(35,566)	(3,418)	(20,819)	(11,362)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 10%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2024 და 2023 წლების 31 მდგომარეობით.

31 დეკემბერი 2024	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	10%	- 10%	10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	3,557	(3,557)	(342)	342

31 დეკემბერი 2023	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL	USD/GEL	EUR/GEL	EUR/GEL
	10%	- 10%	10%	- 10%
მოგება/(ზარალი)	2,082	(2,082)	1,136	(1,136)

საკრედიტო რისკის მართვა

ჯგუფს ეკისრება საკრედიტო რისკი, რომელიც არის იმის რისკი, რომ კონტრაგენტი ვერ შეძლებს სრულად მოთხოვნის დაფარვას ვადის დადგომისას. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად იწვევს ამ რისკს, ძირითადად შედგება სავაჭრო მოთხოვნებისა და ფულისა და ფულის ექვივალენტებისგან. ჯგუფში მოქმედებს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ საქონელი მიეწოდოს ისეთ კლიენტებს, რომელთაც სათანადო საკრედიტო ისტორია გააჩნიათ. სხვა შემთხვევაში, შემოდის გადახდის ალტერნატიული პროცედურები (მაგალითად, წინასწარ გადახდის). სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ამოღებაზე ეკონომიკური ფაქტორებიც მოქმედებს, ხელმძღვანელობის აზრით, ჯგუფს ზარალის დიდი რისკი, გარდა უკვე აღრიცხული რეზერვებისა, არ ემუქრება.

ჯგუფის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად მერყეობს და დამოკიდებულია როგორც ინდივიდუალურ, აგრეთვე ზოგად საბაზრო ეკონომიკის რისკებზე.

საპროცენტო რისკი

ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი გულისხმობს ვადადამდგარ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად საკმარისი თანხების არსებობას.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები (გაგრძელება)
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ცხრილებში მოცემული თანხები წარმოდგენილია ათას ლარში

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად ჯგუფი ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქონდა რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ვადიანობის ცხრილში ასახული თანხები არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი ნაკადები. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხებისგან, რადგან კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ასახული თანხა ეფუძნება დისკონტირებული ფულად ნაკადებს.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 2024
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	521	-	521
გაცემული სესხები	532	-	532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	126	-	126
სულ ფინანსური აქტივები	1,179	-	1,179
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,093)	-	(1,093)
სესხები	(18,653)	(21,710)	(40,363)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(19,746)	(21,710)	(41,456)
ლიკვიდობის დეფიციტი	(18,567)	(21,710)	(40,277)
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(18,567)	(40,277)	
	0 – 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ 2023
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	464	-	464
გაცემული სესხები	199	-	199
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	443	-	443
სულ ფინანსური აქტივები	1,106	-	1,106
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2,771)	(1,705)	(4,475)
სესხები	(10,677)	(20,823)	(31,500)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(13,448)	(22,528)	(35,975)
ლიკვიდობის დეფიციტი	(12,342)	(22,528)	(34,870)
სულ ჯამური ლიკვიდობის დეფიციტი	(12,342)	(34,870)	

25. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ - 2025 წლის 10 აპრილს ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი ბექა სურამელის ნაცვლად გახდა მუხრან ბაგრატიონი პ/ნ 01009004352. აღნიშნული ცვლილების მიუხედავად კომპანიაში არ იგეგმება რეორგანიზაცია ან საქმიანობის სფეროს რაიმე ცვლილება.

9-34 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მმართველობის ანგარიშგება

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

თი ელ ჯი ჯგუფის საქმიანობას წამოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული ქონების გაქირავება, მრავალბინიანი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი სახლების მშენებლობა. იგი ახორციელებს იჯარით აღებული ქონების (ბაზრობის) ინდივიდუალურ პირებზე (მოვაჭრეებზე) გაქირავებას, მას გააჩნია როგორც სტაციონალური ასევე არასტაციონალური სავაჭრო ადგილები და შემოსავლის ძირითადი წყარო არის საიჯარო შემოსავალი. თი ელ ჯი ჯგუფი ასევე ეწევა უძრავი ქონებით ვაჭრობას (საცხოვრებელი ბინები და კომერციული ფართები).

მიუხედავად არაერთი გამოწვევისა ჯგუფმა გაიარა სწრაფი განვითარების გზა. ჯგუფის საქმიანობა თავდაპირველად ეწეოდა მხოლოდ უძრავი ქონების გაქირავებას თუმცა თი ელ ჯი ჯგუფმა საქმიანობის სწორად მმართველობით მოახერხა, რომ დროის არ თუ მცირე მონაკვეთში განვითარებინა სამშენებლო ბიზნესი, მას ამ მიმართულებით დასრულებული აქვს იკვე სამი მრავალსართულიანი ბინის მშენებლობა და გააჩნია ერთი მიმდინარე პროექტი და ორი უახლოეს მომავალში განსახორციელებელი პროექტი ამ სფეროში. მომხმარებელზე ორიენტირებული საქმიანობა ხელს უწყობს მაღალი შედეგების მიღწევას. წარმატებით განხორციელებული პროექტები და მრავალრიცხოვანი, კმაყოფილი მომხმარებელი დასტურია ჯგუფის საქმიანი რეპუტაციისა და მაჩვენებელია იმ გზის სისწორისა, რომელსაც თი ელ ჯი ჯგუფი ადგას დაარსების დღისა.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები

თი ელ ჯი ჯგუფს განზრახული აქვს ბაზრობის ტერიტორიაზე ააშენოს ახალი, მრავალფუნქციური ნაგებობა. მასში გათვალისწინებული იქნება მიწისქვეშა ავტოპარკინგეი, პირველ სართულებზე განლაგებული იქნება სავაჭრო ზონა და დანარჩენი ფართი გამოყენებული იქნება როგორც სასტუმროს ტიპის ფართად ასევე საცხოვრებლად. ამ გეგმის განსახორციელებლად ჯგუფი აქტიურად მუშაობს ინვესტორებთან და გარკვეულ მოლაპარაკებებს აწარმოებს როგორც ქართველ ასევე ებრაელ წარმომადგენლებთან. ასევე აქვს სამომავლო რამდენიმე პროექტი სამშენებლო მიმართულებით.

ჯგუფი ახორციელებს საბაზო მოთხოვნების შესწავლას, რომელიც განაპირობებს ყოველწლიურ მიდგომების ცვლილებას და გაყიდვების პროცესის დახვეწას /გაუმჯობესებას და მომხმარებლებისთვის ხარისხიანი პროდუქციის/ მომსახურების შეთავაზებას.

3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

2024 წლის განმავლობაში ჯგუფში შემაჯავლი არც ერთი კომპანია არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევისა და განვითარების აქტივობაში.

4. ჯგუფის ძირითად ფინანსურ და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას უცხოურ ვალუტებში. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ჯგუფი არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. ჯგუფი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და გენერირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება კრედიტორული დავალიანებები რომლებიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, ჯგუფს აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი და დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

საპროცენტო რისკი. ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

საკრედიტო რისკი. ჯგუფზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას უცხოურ ვალუტებში. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს ჯგუფი არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯგუფმა შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. ჯგუფი ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო განყოფილების მიერ და გენერირდება ჯგუფის საფინანსო განყოფილების მიერ. ჯგუფის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება კრედიტორული დავალიანებები რომლებიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, ჯგუფს აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი და დაფაროს სხვა არაუპროდუქტიული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

საპროცენტო რისკი. ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

3. ს. ს. ს.